საქართველო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 47 479
06/04/2021

479-47-4-202104061122

ტყიბულის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი

<table>
<tr><td colspan="5">**ტყიბულის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა**</td></tr>
<tr><td>**მიზანი 1. (სტრატეგიის მიზანი 3.5)**</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.</td></tr>
<tr><td>**ამოცანა 1.1. (სტრატეგიის ამოცანა 3.5.2)**</td><td colspan="4">შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">**ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:**
კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.</td><td colspan="2">**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:**
შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 1.1.1.**</td><td colspan="4">შენობა-ნაგებობების მშენებლობისას და რეაბილიტაციისას „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">***აქტივობის შედეგის ინდიკატორი:***
გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა -4</td><td>**შესრულების ვადა**</td><td colspan="2">**დაფინანსების წყარო**</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის მე-4 კვარტალი</td><td>**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**</td><td>**სხვა**</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td>განვითარების პარტნიორი</td></tr>
</table>

	პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
აქტივობა 1.1.2	მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების იდენტიფიცირების დაწყება, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს ადაპტირებას

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: იდენტიფიცირებულია სულ მცირე 3 შენობა	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2021 წლის მე-4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			ადმინისტრაციული ხარჯი	
	პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო			

თემურ ჩუბინიძე



მუნიციპალიტეტის მერი